

საქართველი

ქართული
საზოგადოებრივი


საორბული გაზეთი

შაბათი 11 სექტემბერი 2004 №211 (2232)

ფასი 50 თეთრი

კალათბურთელებმა ეს ნაკრები ქართვებებისთვის ოცნების გუნდია

რას და რამდენს
განვლავა ჩვენი ოცნება
ერთი ამერიკელით
და ორი „ამერიკელით“,
ფინეთთან ვნახავთ



GEORGIA




მურაზ დუღენაძის ფოტოები

შემონდ უილიამსი ქართველებს შეეხილება



საქართველო — ფინეთი



11 სექტემბერი. სკორის სასახლე. 20.00

ლაშა გამყრელიძე	180	დინამო	ტემურ რანიკო	189	სკავოლინი, იტალია
ვლადიმერ ბოისა	205	ოლიმპია, სლოვენია	იური ლეტონენი	193	თავისუფალი აგენტი
ანატოლი ბოისა	193	დინამო	პეტრი ვირტანენი	184	ტარმო
ზაზა ფაჩულია	211	ორლანდო, აშშ	ტუკა კოტი	204	პროვიდენსი, აშშ
გიორგი ცინცაძე	190	ცსკა, რუსეთი	იუკა მატინენი	202	სკაილიანერზი, გერმანია
კოტე ტუღუში	193	დინამო	კიმო მურიენი	203	თავისუფალი აგენტი
შემონდ უილიამსი	185	ნიუ ორლეანი, აშშ	მიკო ნოპილა	200	ბრაუნ შვაიგი, გერმანია
მანუჩარ მარკოიშვილი	195	ოლიმპია, სლოვენია	მარტი კუისმა	208	თავისუფალი აგენტი
დავით ბერძენიშვილი	208	დინამო	ჰანო მოტოლა	208	სკავოლინი, იტალია
შიო ხეცურიანი	197	დინამო	სამი ლეტორანტა	205	თავისუფალი აგენტი
ვალერი კილაძე	200	დინამო	აკი ულანდერი	208	ჰონკა
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	213	დენვერი, აშშ	პასი რიიჰელა	199	ლაპერანტა

მწვრთნელი: დრაჟან ბრაიკოვიჩი

მწვრთნელი: ჰენრიკ ლატმანი

შეხვედრის ასათიანი ჟიურის აღმოჩენა



გაბრიელ კაპიტანაძის ფოტო

საქართველოს ნაკრებმა რიხით დაიწყო 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი და ორი ტურის მერე ჯგუფს ლიდერობს.

ასეთი შედეგი ჩვენთვის უცხო და, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, თუმცა ალენ ჟირესის ნაკრებმა რომ არაერთგვაროვანი აზრი შექმნა გულშემატიკიერებში, ფაქტია.

ერთის თქმა კი ალაღად შეგვიძლია — თურქეთ-ალბანეთთან ოთხი ქულის აღებას ცოტა ხნის წინ გიჟი თუ იწინასწარმეტყველებდა, ჟირესმა კი ეს რეალობად გვიქცია და ამაში მალხაზ ასათიანს დიდი წილი უძევს. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა გოლით და საგოლე პასით დაიწყო გერმანიისკენ სავალი გზის გაკვალვა. მალხაზს გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ. ის უკვე „ლოკომოტივთან“ ერთად ემზადება მოახლოებული მატჩებისთვის, თუმცა სანაკრებო თემაზე სასაუბროდ იოლადაც დაგვთანხმდა და ინტერვიუც ასეთი გამოვიდა...

— რას იტყვი თურქეთ-ალბანეთთან მატჩებზე? ბუნებრივია, კმაყოფილი იქნები...

— შესარჩევი ეტაპი მართლაც კარგად დაეწყო. თურქეთიდან ქულის წამოღება ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით. თურქეთი, რაც უნდა არეული იყოს, შინ ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ძალაა.

— მოგება თუ შეგვეძლო ტრაპიზონში?

— შეძლებით ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ასე ჰაერზე ლაპარაკით ვერაფერს გააკეთებ. ფრე ვითამაშეთ და ვფიქრობ, ესეც წარმატება იყო ჩვენთვის. არა მგონია, ვინმე უკმაყოფილო დარჩენილიყო ამ ქულით.

— ალბანეთთან თამაშზე რაღას იტყვი?

— 2:0 მოვიგეთ და მეტი რა ვთქვა?!

— ბევრი ამბობს, ნაკრების თამაშს ხარისხი აკლია...

— ჩვენთვის მთავარი შედეგია, ამაში ვერაფერს შემოგვედევება. სამი ქულა გვინდოდა და ავიღეთ. ვინც ხარისხს გვიწუნებს, იმას ის ერჩევნა, კარგად გვეთამაშა და წაგვეგო?

— წესით არ უნდა ერჩივნოს...

— ჰოდა, საკამათოც არაფერია. ცხადია, ხარისხი და მოგება ერთად კარგია, მაგრამ ჯერჯერობით ასე არაა. სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს და იმედია, მომავალში ამასაც გამოვასწორებთ. ახლა კი პირველ

ადგილზე ვართ და ეს შევირგოთ.

— გარედან ისე ჩანს, თითქოს გუნდი ადრინდელთან შედარებით გაცილებით უფრო შეკრულია...

— რა ვიცი... მგონი, ადრეც კარგად ვიყავით ერთმანეთთან. სხვაობას ვერ ვხედავ, თუმცა მიხარია, რომ ხალხი შეკრულ გუნდს ხედავს. ეს მხოლოდ დასაწყისია, მერე და მერე კიდევ უფრო შევთამაშდებით.

— თავით თამაში შენი კოზირი არასოდეს ყოფილა. ნაკრებში კი ორი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანე და ორივე თავით. ეს შემთხვევითობაა თუ...

— არ ვიცი, შეიძლება შემთხვევითობა... 10 წუთი რომ შეხვალ მოედანზე და თავით გოლს გაიტან, მით უმეტეს, როცა ამაში ძლიერი არ ხარ, ესე იგი, გაგიმართლა. ჩემთვის სულ ერთია, ვინ რას მიაწერს ამ გოლს — უნდათ შემთხვევითობას დააბრალონ, უნდათ გამართლებას.

— ალბანეთთან შეცვლა თავად მოითხოვე?

— არა, მწვრთნელმა გადაწყვიტა ასე.

— ელოდი, რომ შეგცვლიდა?

— არა, ძალიან გამიკვირდა.

მეორე ტაიმი დიდი ხნის დაწყებული არ იყო და შესაძლოა, ისე ვეღარ გამოვიყურებოდი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ კარგი იქნებოდა, ცოტას თუ მაცვლიდა. რას ვიზამ, მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ და მე

მეტს ვერაფერს დავამატებ.

— ჟირესმა პრესკონფერენციაზე გვითხრა, ასათიანი დაცვითი სტილის ნახევარმცველიაო. არადა, ბევრის აზრით, შენი გამოყენება გამთამაშებელის პოზიციაზე უფრო შედეგიანი იქნება...

— ჩემთვის ეს ძალიან მტკივნე-



გაბრიელ კაპიტანაძის ფოტო

ული თემაა. ფაქტია, რომ დაცვაში თამაში არ მსიამოვნებს. მხოლოდ სხვისი შეტევების ჩაშლა ჩემთვის ძალიან უცხოა. გასაგებია, რომ „ლოკომოტივში“ დაცვაში ვთამაშობ, მაგრამ სხვა რომ არაფერი ვთქვა, ეს სათამაშო პრაქტიკისთვის ძალიან მჭირდება. არადა, ბავშვობიდან სულ გამთამაშებელი ვიყავი და ამ ადგილზე თამაში ძალიან მიადვილდება. სხვა საქმეა, მწვრთნელები რას გადაწყვეტენ. ჩემი ნება რომ იყოს...

— უკრაინასთან მომავალ მატჩზე რას ფიქრობ?

— ჯერ არაფერს. ამაზე თამაშის მერე ვილაპარაკოთ, წინასწარ პროგნოზების გაკეთება არ მიყვარს.

— კახა კალაძე რომ დაგვაკლდება, გეცოდინება...

— დასანანია, რომ კალაძე ორი ყვითელი ბარათის გამო ვერ დაგვეხმარება ასეთ დროს, მაგრამ ამას უკვე ვერ შევცვლით. კახა უდიდესი ძალაა გუნდისთვის, თუმცა უნდა შევევსოთ იმ აზრს, რომ უკრაინასთან ომის გადატანა უმისოდ მოგვიწევს.

კახა ზალაგბერიძე

ივან ბენეშო დარწმუნებულია: არგენტინა ხელს სექსუალურ პოლემას



ბრიტანული გაზეთი „ჰერალდი“ გვამცნობს, რომ შოთა არველაძე და „რეინჯერსი“ ხელშეკრულებას გააგრძელებენ და ამ ინფორმაციას არგენტინის აგენტ ივან ბენეშო დაყრდნობით ავრცელებს. მისი „რეინჯერსის“ თავმჯდომარე დევიდ მიურეი და ბენეში შეთანხმდნენ, რომ არგენტინის კონტრაქტის გახანგრძლივებაზე გადაწყვეტილებას სექტემბერში მიიღებდნენ. იმ დროისთვის მუხლნაოპერაციევ შოთას თამაში არ შეეძლო, ახლა კი ამ სეზონის ექვსივე მატჩი ითამაშა „რეინჯერსში“ და ორიც საქართველოს ნაკრებში.

ვილაპარაკებ და მჯერა, რომ შეთანხმებას მალე მივაღწევთ. დარწმუნებული ვარ, თვის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება — განუცხადებ „ჰერალდს“ ბენეშმა. თუმცა „ჰერალდი“ იქვე მიანიშნებს, რომ არველაძემ, ვინც შოტლანდიის ჩემპიონატის 66 მატჩში 40 გოლი გაიტანა, შესაძლოა, არ მოაწეროს ახალ კონტრაქტს ხელი, რადგან სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება და იქნებ, სხვა გუნდში გადავიდეს.

დავით თაგარტილაძე

სადოვიკი ააფეთქეს დამნაშავე, ცხადია, ქართველია

საინტერესო ამბავი მოხდა რუსეთის მეორე დივიზიონში. გათამაშების ლიდერი „სადოვიკი“ ურალის ზონაში ლიდერობდა და პირველი დივიზიონის საგზურად ფაქტობრივად ჯიბეში ელო. 23 ტურის მერე „სადოვიკმა“ 57 ქულა დააგროვა და ყველასთვის მიუწვდომელი იყო, მაგრამ... თუ არ იცით, გეტყვით, რომ რუსეთის მეორე დივიზიონში უცხოელის თამაში აკრძალულია. „სადოვიკში“ კი სეზონის წინ ჩვენებური ზვიად ჯელაძე გადავიდა, თუმცა ქართული პასპორტით თამაში, ცხადია, არ შეეძლო. კლუბმა და ფეხბურთელმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გამოსავალს მიაგნეს — ჯელაძემ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ახლა კი გაირკვა, რომ ჩვენებურის ნატურალიზება კანონის დარღვევით მომხდარა, რამაც რუსული ფეხბურთის მამები აღაშფოთა და დამნაშავენიც უმკაცრესად დასაჯეს. „სადოვიკს“ აქამდე ჩატარებულ ყველა მატჩში 0:3 წაგება ჩაუთვალეს, ჯელაძეს კი 12-თვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, თან გასაჩივრების უფლებაც მოუსპეს. ასე დამთავრდა ჯელაძის და „სადოვიკის“ ფეხბურთი.

კახა ზალაგბერიძე

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაჰაი II საკვალიფიკაციო ტრე C ჯგუფი. III ტური სანტ ვინსენტი 1:0 სანტ კიტსი

გერმანია II ლიგა. III ტური ბურგაზუანი 1:2 ზაარბრიუჰენი მუტცუსი 4:0 უაინრატუხენი ანიტრასტი 2:1 დინამო ჩრდილოეთი რეგიონალლიგა VIII ტური ფორტუნა 2:0 უნიონი სამხრეთი რეგიონალლიგა VI ტური ზიგინი 2:1 კოხლენცი	იტალია სერია B. I ტური ტორინო 3:1 ვერონა	პორტუგალია სუპერლიგა. II ტური შილ ვინსენტი 0:1 ბონაფინტა	ჰოლანდია I დივიზიონი. IV ტური ალკმაარი 5:0 დინ ბოსხი II დივიზიონი. V ტური კამბური 0:0 ზეოლე ეფინი 3:3 ვინდამი ედემლიორი 3:1 ტელსტარი ვოლენდამი 0:3 ვინლო იგლნი 0:3 ჰერაბოლინი ჰაარლემი 1:2 სპარტა ჰელმონდი 0:1 სიტარდი მაასტრისტი 0:1 დორდრეხტი ოსი 0:3 ეინდჰოვენი	ავსტრია I დივიზიონი. VII ტური აუსტრია (ლ) 2:0 ვიორაბლი ბრატკორნი 1:1 ალტანი ლიოპინი 1:1 ლინცერი რიდი 0:2 კერნთინი უნტერნიზინგინი 1:3 კაპფინგინი	ფინეთი პრიმუსლიგა. XXIII ტური ჰაპა 3:2 ჰიკ	რუსეთი პრემიერლიგა. XXI ტური ცსკა 2:1 სპარტაკი	პოლონეთი I ლიგა. V ტური კრაკოვია 0:0 ვარშეიკი	საფრანგეთი II დივიზიონი. VII ტური ანჟო 1:1 ნანსი შატორუ 1:1 კლიმონი ბრეგორი 2:1 ლე მანი ლავალი 0:0 ლორიანი ლე აზრი 0:1 ბანიონი სიდანი 1:0 კრებიტი ტრუა 1:1 ბინგამი	დანია I დივიზიონი. VII ტური ბ-93 კონკანგინი 0:0 ფრედი შვეიცარია ჩელენჯლიგა. VIII ტური ბადენი 0:2 ლუცერნი ბული 2:2 სიონი ვიტარტური 0:1 კინსო პრინსი — მიტინი დღეს გაიმართება	ირლანდია პრემიერლიგა. III ტური გალდგაუი მატჩი სენტ პატრიკსი 1:2 ბონაფინტა ასოციაციის თასი. II ეტაპი შოტარფორდი 2:2 როკფორდი დუბლინი 0:0 დროვიდა	სლოვენია სი მოვილ ლიგა. IV ტური ლიუბლიანა 1:1 დობოლა
---	---	---	---	--	---	---	--	---	---	--	---

საქართველოს ჩემპიონატი
16 ტურნი
6 ტურნი

საბატი დღის უაღრესი ტრანსფერების დაბრუნების ტური



წინა სეზონის „თბილისი“-„დინამო“. მაშინ სანდრო იაშვილი „დინამოსთვის“ ხტებოდა, ახლა „თბილისისთვის“ აუხტება „დინამოსაც“ და სხვებსაც

თბილისი. 11 სექტემბერი. 18 საათი. **ლოკომოტივი**
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; დ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

თუთაისი. 11 სექტემბერი. 16 საათი. **ტორკედო**
ტორკედო — ბათუმი

მსაჯები: ა. მუშვიტი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. კრიჭავაძე (თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ზესტაფონი. 11 სექტემბერი. 16 საათი. **ცენტრალური**
ზესტაფონი — დილა

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. მენთეშვილი, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფზ-ის ინსპექტორი: ა. მილიჩენკო

თბილისი. 11 სექტემბერი. 18 საათი. **ეროვნული**
დინამო — კოლხეთი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ე. გაბრიძე, ნ. რუსიშვილი; მ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი); სფზ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

თბილისი. 12 სექტემბერი. 16 საათი. **ოლიმპი**
თბილისი — სიონი

მსაჯები: ა. შილაკაძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი); მ. მალაღურაძე (თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

სანაპრემო პერიპეტიების გამო ეროვნულმა ჩემპიონატმა ცამეტი დღეს დაისვენა და დღეს განახლდება. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების წარმატებებმა იქნებ საშინაო ჩემპიონატსაც შემატოს გულშემატკივარი და ხალისი — წესით და რევით ასე უნდა მოხდეს.

თუ გათამაშების ცხრილს თვალს მოგვყევით, მთავარი მატჩი ეროვნულ სტადიონზეა. ფოთელთა და დინამოელთა დაპირისპირება თბილისელთა თხოვნით დედაქალაქში გადმოიტანეს, რადგან „დინამოს“ 16 სექტემბერს უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველი მატჩი ელის კრაკოვში იქაურ „ვისლასთან“. ფოთში წადიწამოდი კი გუნდს მართლაც გადატვირთავდა. მოკლედ, „დინამო“ — „კოლხეთი“ საქართველოდან ევროტურნირებს შემორჩენილი ერთადერთი გუნდის გენერალური რეპეტიციაა და ამიტომაც შევრაცხეთ ტურის ტოპმატჩად.

რომ არა ეს, ვინმე „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯია“ ტურის ყველაზე საინტერესო მატჩია. წინა ტურში „ვიტ ჯორჯია“ ბოლნისში დამარცხდა და მისი ვაკელებთან დაპირისპირება ინტრიგული უნდა იყოს. „ლოკომოტივი“ ერთობ მობილური, ძნელად გასატეხი გუნდია და ჩემპიონსაც ალბათ მაგრად დაუდგება. „ლოკომოტივს“ სამატჩო განაცხადში ეყოლება „დინამოდან“ გამოშვებული ნახევარმცველი ალექსანდრე გოგობერიშვილი.

მაგრამ, ახლა სწორედ გათამაშების ცხრილს შევავლოთ თვალი და ყველაფერი თავდაყირა დადგება — ლიდერი „ტორკედო“ არანაკლებ ამბიციურ „ბათუმს“ მასპინძლობს. ქუთაისში ალბათ ათას კაცზე მეტი მივა სტადიონზე საქართველოს სამეზის ჩემპიონთა საქომავოდ — აჭარელებს საკმაოდ ძნელი მატჩი ელით.

მიმდინარე ჩემპიონატში პირველ გამარჯვებას ელიან ზესტაფონში — იმერლები ცხრილის მეზობლებს, გორელებს მასპინძლობენ. „ზესტაფონმა“ 2001-02 წლების საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი შეიმატა — ზაზა ზირაქიშვილმა „ზესტაფონის“ რიგებში თასის მეთექვსმეტედფინალში უკვე გაიტანა ორი გოლი და ზესტაფონელებს მისი ჩემპიონატშიც ეიმედებათ.

თუმცა, ტრანსფერებზე თუ მიდგა საქმე, „თბილისისა“ ყველაზე მაგრად ყვირის — ამ კლუბმა „დინამოდან“ იჯარით აიყვანა 19 წლის ფორვარდი სანდრო იაშვილი, ვინც რუსული პრემიერლიგის გუნდებში ცდილობდა ჩარიცხვას, მაგრამ რუსულ კლუბებს „დინამოს“ ფასი ეძვირათ. ერთი სიტყვით, დღეს იაშვილის თბილისურ დებიუტს უნდა ველოდოთ.

დავით თავართქილაძე

დინამო	5	4	1	0	16:4	13
ტორკედო	5	4	1	0	9:1	13
ლოკომოტივი	5	3	1	1	11:3	10
თბილისი	5	3	1	1	12:7	10
ვიტ ჯორჯია	5	3	0	2	12:10	9
ბათუმი	5	2	2	1	6:4	8
სიონი	5	2	0	3	6:17	6
კოლხეთი	5	1	0	4	3:9	3
დილა	5	0	0	5	4:12	0
ზესტაფონი	5	0	0	5	3:15	0

საქართველოს ჩემპიონატი
მერაბ დვინაძის ფილიყრა

ვიტ ჯორჯია თბილისი — ჭაბუკიანი
 ბათუმი — პრემა თბილისი
 სიონი ბოლნისი — ამერი თბილისი
 დინამო თბილისი — ზესტაფონი
 ტორკედო ქუთაისი — მილანი-მერანი წნორი
 კოლხეთი ფოთი — ცხინვალი
 თბილისი — დილა გორი
 ლოკომოტივი თბილისი — სპარტაკი თბილისი

პირველი მატჩები 20 ოქტომბერს გაიმართება, საპასუხო — 3 ნოემბერს

ნილის სომ კაპათელია ზოგს გასვლა დაუჯდა, ზოგს ბრძოლა



გოგია გოგუას „თბილისს“ გორელებთან ძველი სიათსო ანგარიშები აქვს

ბუშინ პროფლიგამ საქართველოს თასის მერვედფინალის წილისყრა ჩაატარა. თავდაპირველად ისე იყო ცნობილი, რომ ამ ეტაპზე განთესვა არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოგვიანებით პროფლიგელები მაინც განთესვის წესს მიემხრნენ. საბოლოოდ, ერთ მხარეს უმაღლესი ლიგის რვა საუკეთესო გუნდი აღმოჩნდა, მეორე მხარეს კი უმაღლესი ლიგის ბოლო ორი გუნდი, ოთხი პირველლიგელი და ორიც რეგიონული ლიგის გუნდი.

წილისყრისას სხვებზე მეტად ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ და „ბათუმს“ გაუმართლათ, რაკი მეტოქეებად რეგიონალიგელები ერგოთ და ძნელი წარმოსადგენია, მეოთხედფინალში ვერ გავიდნენ, თუმცა ისიც ძნელი წარმოსადგენია, თბილისის „დინამოს“ უმაღლესლიგელ „ზესტაფონთან“ გაუჭირდეს. ორ წყვილში ერთმანეთს მეტოქეობას უმაღლესლიგელები გაუწყვენ, გამორჩეული ბრძოლა კი „თბილისი“ — „დილას“ წყვილშია მოსალოდნელი.

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში ისინი მეოთხედფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და მაშინ ორი მატჩის ჯამში გორელებმა იმარჯვეს. კარგ ბრძოლას უნდა ველოდოთ ბოლნისის „სიონს“ და თბილისის „ამერს“ შორის. აქ ინტრიგას ის გარემოება მატებს, რომ „სიონში“ ოთხი ისეთი ფეხბურთელი თამა-

შობს, შარშან „ამერის“ მაისურა რომ ემოსათ — დავით ასლანაძე, მამუკა რუსია, ვია კილაოსონია და დიმიტრი ვერემუჟი.

როლანდ ჩხაიძის „სპარტაკს“ კი მეტოქეობას მისი ძმის, აკაკი ჩხაიძის ყოფილი გუნდი, „ლოკომოტივი“ გაუწყვეს. გეხსოვებათ, „სპარტაკმა“ წინა სეზონში თასზე წარმატებით ითამაშა და ნახევარფინალს უწია.

საქართველოს ჩემპიონატი
16 ტურნი
4 ტურნი

ცხინვალი 2:2 სპარტაკი

ამერი	4	4	0	0	17:0	12
ბორჯომი	4	3	0	1	11:6	9
ბახათი	4	3	0	1	10:9	9
ბურია	4	2	2	0	5:2	8
ვიტ ჯორჯია	4	2	1	1	8:3	7
დინამო 2	4	2	0	2	11:8	6
სპარტაკი	3	1	2	0	5:3	5
ცხინვალი	4	1	2	1	10:9	5
ჩიხურა	4	1	2	1	3:4	5
რუსთაველი	4	1	1	2	4:5	4
მირანი	2	1	0	1	5:5	3
ივარია	3	0	2	1	2:5	2
მალაროელი	4	0	2	2	3:7	2
ოლიმპი	4	0	2	2	3:7	2
საბარჯო	4	0	1	3	2:13	1
ლოკომოტივი	2	4	0	1	3:14	1

GBERIDZE: ვულოცავ საქართველოს ნაკრებს კარგ შედეგს. რაც შეეხება თავად თამაშს, ჩვენს ნაკრებში საუკეთესო უკანა ხაზი იყო. მცველებმა და მეკარემ საუცხოოდ ითამაშეს. იგლი ტარე ფაქტიურად გამოთიშული იყო თამაშიდან. რბილად რომ ვთქვათ, კვლავ მოისუსტებს ჩვენი ნახევარდაცვა, აქედან გამომდინარე — შეტევა ც. ფლაგენური თამაში საერთოდ არ არსებობდა. კობიაშვილმა ძალიან სუსტად ითამაშა, ასათიანს კი ალბათ, ახალი პოზიცია არ მოეწონა. გაამართლა ყირესის შეცვლებმა. კანკავა, კვირკველია (რომელიც, ჩემი აზრით, სასტარტოში უნდა ყოფილიყო) და დემეტრადე თამაშში ძალიან კარგად ჩაერთვნენ. პირველ ტაიმში უფრო მეტი აქტიურობა მართებდა შოთა არველაძეს, რადგან დაცვიდან ბურთის ამოტანისას წინ მარტო იაშვილი რჩებოდა და შეტევის დაწყება ჭიანურდებოდა. იმედია, ეს ხარვეზები თანდათან გამოსწორდება.

ჩვენს მომდევნო მკითხველს კი შოთა არველაძის თამაში არც პირველ ტაიმში მოეწონა და არც მეორეში.

DAKA: ეს გამარჯვება კი კარგია, მაგრამ თუ შემდგომშიც წარმატებები გვინდა, მაშინ გაუშვით არველაძე და ჯამარაული.

მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, შოთას თამაში და საერთოდ ნაკრების თამაში არავის მოსწონებოდა. აი, იმედი.

LIKVIDATORI: არა რა, ამ ხალხის მაინც ვერაფერი გავიგე. ასეთი პესიმისტები არ მინახია, არაფრის იმედი არ აქვთ. რა უნდათ, გაანებონ თავი ფეხბურთს. თან გაგებაში არ არიან. ერთი ტიპი მთელი თამაში არველაძეზე იძახდა, აზრზე არ არისო. მე კი მგონია, შოთას ასე არასდროს უთამაშია. დღეს სადაც გავიხედე, სამსახურში, ქუჩაში, ყველა ერთიდაიმავეს იძახის, რომ მაგრა გაგვიმართლა. ბლომად ვიკამათე. მერე დავიღალე და თავი დავანებე, მაინც ვერ გაიგებენ. მე მგონი, ნაპერწკალი არის, რომლიდანაც ცეცხლი აინთება და მჯერა, რომ აინთება. უკრაინაში ფრე მგონია, დანიას დედას ვუტირებთ. ეჭვი არ შეგეპაროთ.

კონტრასტული შინაარსის წერილების ბეჭდვის სისტემა განვარდით და ახლა ის წერილი წავიკითხეთ, რომლის ავტორსაც LIKVIDATORI-ს რწმენაში ეჭვი ეპარება და უკრაინასთან და დანიასთან მატჩებსაც უფრთხის.

ILO_2: მგონია, უკვე დროა, რომ მიწაზე დავეშვათ. კი, ალბანეთმა მოუგო ევროპის ჩემპიონს, მაგრამ ალბანელები არ არიან ის მოთამაშეები, რომ საქართველოს მათთან მოგება ასე გაუხარდეს. შემდეგი თამაში თუ სასურველი შედეგით

არ არსებობს! ამ ოხერ იმედს რა ვუყოთ, კაცო... (ისა, სათაურად ვარგისი, მაგრამ ნახლებადგამოსაჩენი ვარიანტი ამ მიმოხილვის ბოლო სამი სიბყვა)



დღეს ერთხელაც გავისხენოთ საქართველოსა და ალბანეთის მატჩი, მომდევნო კვირიდან კი ჩვენი რუბრიკა ჩემპიონთა ლიგას მივუძღვნათ, ხოლო რომელ მისამართზე უნდა გამოვგზავნოთ საჩემპიონთა ლიგო წერილები, მოგვიანებით შეგატყობინებთ.

ელ-ფოსტა geo_geo_fan-ს კი დროებით დაამთავრეს, მაშინ უკვე შეიძლება რაიმე წარმატებაზე ფიქრი. ჯგუფში კიდევ დანია, უკრაინა, საბერძნეთი და თურქეთი არიან.

იგივე აზრისაა მომდევნო წერილის ავტორიც.

MAQUIS_GEO: მოვიგეთ, ლიდერები ვართ, კარგია... თუ კოკა ყოველთვის წყალს მოიტანს ანუ ასეთი თამაშით მომავალშიც მსგავს შედეგს მივიღებთ, მაშინ ბოდიშს მოვუხდით ყველას, ვისაც ასე გაუხარდა ალბანეთთან მოგება. ყველაზე ძალიან არ მესიამოვნა მეორე გოლის გატანა. ახლა ისე გამოდის, რომ ძლივს კი არ მოვიგეთ და 90 წუთი ალბანეთი კი არ გვაჯდა თავზე, არამედ ჩვენ დავჩაგრეთ. შესაბამისად, სანამ ურემი გადაბრუნებულა, ანუ სანამ დიდი ანგარიშით არ წავაგეთ გუნდთან, რომელიც თურქეთისა და ალბანეთისგან განსხვავებით შეძლებს უპირატესობის გამოყენებას, მანამდე თვითკმაყოფილების გრძნობით ვივლით. გულით მინდა, რომ ვცდებოდე, ეს ოხერი იმედი მაინც ბოლო კვდება.

იმედი ბოლოს კვდება კი არა, მომდევნო გულშემატკივარს იმედი სწორედ ახლა ჩასახვია.

ვზურავთ და საქართველოს ნაკრების მომდევნო თამაში რომ მოახლოვდება, ცხადია, ისევე გავხსნით.

ალბანეთთან მატჩის მერე მოსული წერილები კი ორგვარია: გულშემატკივართა ნაწილი შედეგითაც კმაყოფილია და თამაშითაც, მეორენი კი შედეგით კმაყოფილები არიან, მაგრამ თამაშის ხარისხი აშფოთებთ

ასეთი თამაშით საქართველო ჯგუფიდან თუ გავა, მაშინ პასუხიც მეცოდინება: ცალსახად ვიტყვი — თამაშს რას უყურებ, მთავარი გამარჯვებაა-თქო. იქნება კი ასე? სანამ ნაკრები მოიგებს, ხმას ვინ ამოიღებს. მაგრამ ვაი, თუ ნა-აგო... ერთბაშად დაატყდება ამ თამაშებზე წარმატების ხათრით აცილებული კრიტიკის ზღვა.

საერთოდ, MEZVRO-ს კითხვაზე ძალიან მარტივი პასუხიც არსებობს: ჯობს, კარგად ითამაშო და მოიგო, მაგრამ თუ საქმე მაინცდამაინც არჩევანზე მიდგა, ვფიქრობ, სამი ქულა უფრო მნიშვნელოვანია. ოღონდ ვე არის, რომ ცუდი თამაშით სამ ქულას ყოველთვის ვერ აიღებ.

ახლა კი მომდევნო წერილი წავიკითხოთ.

CKALBURTELI: კარგ შედეგს მივალნიეთ ამ ორ თამაშში, მაგრამ ხარისხი ნაღდად არ მომეწონა. ღმერთმა ქნას და, სულ ასე გაგვიმართლოს მომდევნო თამაშებში. მგონია, რომ დღეს საქართველო შედეგს ალწევს ზოგიერთი ფეხბურთელის ინდივიდუალურობის ხარჯზე და არა გუნდური თამაშით. აღარ მახსოვს, საქა-

სეთი თამაშით საქართველო ჯგუფიდან თუ გავა, მაშინ პასუხიც მეცოდინება: ცალსახად ვიტყვი — თამაშს რას უყურებ, მთავარი გამარჯვებაა-თქო. იქნება კი ასე? სანამ ნაკრები მოიგებს, ხმას ვინ ამოიღებს. მაგრამ ვაი, თუ ნა-აგო... ერთბაშად დაატყდება ამ თამაშებზე წარმატების ხათრით აცილებული კრიტიკის ზღვა.

რთველოს ნაკრებს მეკარეს ასე კარგად ვითამაშოს, როგორც დევიდემ ითამაშა ალბანეთთან. მაგრამ გამოსვლებზე მაინც სუსტია. კალაძე უდავო ლიდერია. ჯამარაულმა ამონურა თავისი შესაძლებლობებით. რაც შეეხება კანკავას, მასზე აუგს ნამდვილად ვერ ვიტყვი. ისე, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებს ისეთი ვარცხნილობები აქვთ, FASHION TV-ს მოდელებს შეშურდებათ. ტრიბუნაზე ბევრი კი ვინერვიულე, მაგრამ ბევრიც ვიხალისე. უკან ერთი გოგო მეჯდა, კაი დაზაგრული. ჩვენი კარისკენ შეტევა რომ იყო, სულ „არ არსებობს“ იძახდა.

შემდეგი წერილის ავტორის უკან, ეტყობა, სხვა გოგო იჯდა და ამიტომ სახალისოდ ვერ მოიცალა.

BOBAH THE GEORGIAN: თამაშს რომ ვუყურებდი, შუშანიკის წამება მახსენდებოდა. იმდენი ნერვიული ენერჯია დაიხარჯა ამ 90 წუთში, რომ არც კი ვიცი... გადავრჩით, ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ გადავრჩით. იმდენი კიდევ სასწავლი და საკეთებელი, რომ ჟირესი უსაქმურდობით ნამდვილად არ მოიწყენს. სამაგიეროდ, გუშინაც იყო ჯიგარი, იყო მონდომება და ბრძოლა. ამისთვის ბიჭებს დიდი მადლობა. თამაშმა ერთი რამეც გვიჩვენა. ჟირესი ნამდვილად თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტია. გვათამაშებს ისე, როგორც შეგვიძლია, მაგრამ რეზულტატს ალწევს. რეზულტატი კი იმდენი ხანი არ გვქონია, რომ თითქმის ყველაფერი შეგვიძლია ვაპატიოთ ფეხბურთელებს. ბურთის უაზრო დაკარგვაც, ტექნიკური ნუნცი და ისიც, რომ ალბანელებმა იმდენი „პად სება“ მოგვატყყეს, ნებისმიერ ეზოს გუნდს რომ გაუტყყებოდა.

ARCHILO, ვისი წერილიც ახლა მინდა წარმოვიდგინოთ, BOBAH THE GEORGIAN-ის აზრს, ჟირესი ნამდვილად თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტიაო, რატომღაც მგონია, არ დაეთანხმება. აბა, ვნახოთ.

ARCHILO: ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობ ჟირესი, როცა ნაკრების თამაშით კმაყოფილებას გამოთქვამს? ჩემი აზრით, ასეთი სუსტი ნაკრები საერთოდ არ გვეყოლია. მგონი ჯობდა, ბოსკამპისთვის გვეცლია თავის დროზე, ასეთი თამაშით უბრალოდ განწირულები ვართ.

მოკლედ, როგორც შესავალში მოგახსენეთ, მოსაზრებები განსხვავებულია. ბოლოს კი რეზიუმეს მაგიერ ერთ წერილს წარმოვიდგინო.

SUPERMARIO: ჟირესზე და ჩვენს ნაკრებზე რომ ბევრს კამათობენ, ეს ძალიან კარგია. იმედი მომეცა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მასტურბაციის ერა დასრულდა.


გერმანია სუპერლიგა

399

IV ტური	
სვალ	
მაინცი	: ლევერკუზენი
ბაიერნი	: არმიინია
გოლდბახი	: ვორტბურგი
ვოლფსბურგი	: შალკე
შტუტგარტი	: ვაიმარე
ნიურნბერგი	: ბორუსია
ზეგ	
პანოვერსი	: ფრაიბურგი
ჰანოვერი	: ლაუტენი

საღმისო ვითარება	
ლევერკუზენი	3 2 1 0 8:4 7
შტუტგარტი	3 2 1 0 8:5 7
ვერდერი	3 2 0 1 6:2 6
ვოლფსბურგი	3 2 0 1 4:3 6
ბორუსია	3 1 2 0 6:5 5
ფრაიბურგი	3 1 2 0 2:1 5
ნიურნბერგი	3 1 1 1 7:6 4
დორტმუნდი	3 1 1 1 5:5 4
მაინცი	3 1 1 1 5:6 4
ბაიერნი	3 1 1 1 4:5 4
ჰანოვერი	3 1 1 1 2:4 4
ჰანოვერი	3 0 3 0 4:4 3
ჰამბურგი	3 1 0 2 5:7 3
შალკე	3 1 0 2 2:4 3
გლადახი	3 0 2 1 3:4 2
ჰანოვერი	2 0 1 1 2:3 1
არმიინია	2 0 1 1 1:2 1
ლაუტენი	3 0 0 3 4:8 0

მათიას ზამერის მტუტგარტი რუმენიგის მტუტგარტი



მათიას ზამერის „მტუტგარტი“ ჯერაც დაუმარცხებელია

„ლევერკუზენში“ სირცხვილნაჭამი მიუნხენის „ბაიერნი“ ბილეფელდის „არმიინიას“ უმასპინძლებს. ფელიქს მაგათის შესაძლოა, მიხაელ ბალაკი და როკე სანტა კრუსი დააკლდეს, რადგან ბალაკს სურდო შეჰყრია, პარაკავალს კი მუხლი აწუხებს. მაგათის ვარჯიში გუნდის რამდენიმე ფეხბურთელმა დაიწუნა, მაგრამ კარლ-ჰინკ რუმენიგე მწვრთნელს იცავს: „კლუბის უფროსობა მაგათს ენდობა და ვისაც მისი მეთოდებით ვარჯიში არ მოსწონს, საქმე ჩვენთან ექნება“.

სელაკერფილი „ლევერკუზენი“ ბუნდესლიგის დებიუტანტ „მაინცს“ ეწვევა, რომელმაც ჩემპიონატი საკმაოდ კარგად დაიწყო და გასულ ტურში ბერლინში „ჰერტასს“ ქულა ააფუქნა. მაინცელებს მცველი მიხაელ ფალკენმაიერი, ხოლო სტუმრებს იენს ნივოტნი ტრავმის გამო დააკლდება.

„ბორუსია“ მარშანდლივით რიზანად დაიწყო და დღეს დორტმუნდის „ბორუსიას“ უმასპინძლებს ბორუსიელთა ნიგერიელი ლეგიონერი სანდი ოლისე წინა სეზონში კლუბიდან გააძევეს, რაკი გასახდელში თანაგუნდელი ცემა ოლისე ამჟამად დორტმუნდის „ბორუსიაში“, ნახევარმცველი კრისტოფ პროისი კი დისკვალიფიცირებულია.

ჩემპიონი „ვერდერი“, რომელსაც მომავალ სამსაბათს მელანში „ინტერთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელის, მიუნხენელთა ტრავმირებული უმით დავალას გარეშე ითამაშებს, ხოლო დამხვდურებს მცველი შტეფან კორელი და ნახევარმცველი ოლივერ კორხი დააკლდება.

ვოლფსბურგში „მგლები“ გელზენკირხენის „შალკეს“ მიიღებენ. მასპინძლებს ოლიმპიური ჩემპიონი ანდრეს დალესანდრო და-

უბრუნდათ, ხოლო „ხუმარებს“ დასჯილი მეგოლე აილტონი ვერ დაეხმარება.

მათიას ზამერის „მტუტგარტი“ ჯერჯერობით დაუმარცხებელია და დღეს „ჰამბურგს“ დაეჭიდება. სტუმართა მწვრთნელი კლაუს ტოპმოლერი უგუნებოდაა, რადგან მისი გუნდის მთავარი ფორვარდი ბენკამინ ლაუტი დაშავდა და ერთი თვით ბურთს დაემშვიდობა. ზამერს კი სრულ მზადყოფნაში ჰყავს ჩინებულ ფორმაში მყოფი კევინ კურანი, რომელმაც ბუნდესლიგაში სამი გაიტანა, ხოლო კლინსმანის ნაკრების ოთხი გოლიდან ოთხივე მის ანგარიშზეა.

„ჰამბურგს“ ლაუტის გარდა კრისტიან რანი, რაფაელ ვიკი და ბერნარდო რომეოც არ ეყოლება. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების ბოლო ხუთ დაპირისპირებაში „მტუტგარტს“ ერთიც არ მოუგია.

ბუნდესლიგის ყველაზე ფრიანი გუნდი, ბერლინის „ჰერტა“ ნიურნბერგში ჩავა. დედაქალაქელებს არნე ფრიდრიხი და ილდირაი ბაშთურქი დაუშვად, ისინი „ნიურნბერგთან“ შეხვედრას გამოტოვებენ.

„ჰანოვერს“ „ფრაიბურგთან“ რუსი ნახევარმცველი ვლადიმირ ბუტი და კამერუნელი მაჰამადუ იდრისუ დააკლდებიან. ჯერაც დაუმარცხებელი ფოლკერ ფინკეს გუნდი ბოსნიელ ნახევარმცველ ზლატან ბაირამოვიჩის მოისაკლისებს.

როსტოკის „ჰანოვერი“ სრულ მზადყოფნაშია და ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელიც ჯანზე ჰყავს. როსტოკელები ბუნდესლიგის მაჩანჯალა „კაიზერსლაუტერნს“ უმასპინძლებენ, რომლებმაც სამივე საწყისი შეხვედრა წააგეს და დღეს ჩირაკო სვორცა და ბერტინ ფორვარდი ამანტილისი არ ეყოლებათ.



ფელიქს მაგათის გარეშეები „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა დაიწუნეს

ინგლისის სუპერლიგა

399

V ტური	
სვალ	
ასტონ ვილა	: ჩელსი
ბოლტონი	: მანჩესტერი
შუტლიფი	: არსენალი
ლივერპული	: მესტ ბრომფორდი
სიტი	: ვესტჰემი
მიდლსბრო	: ბირმინგემი
ნოუკასლი	: ბლექბერნი
პორტსმუთი	: პრ. პალასი
სვალ	
ტოტენჰემი	: ნორვიჩი
ზეგ	
ჩარლტონი	: საუთჰემპტონი

საღმისო ვითარება	
არსენალი	4 4 0 0 16:5 12
ჩელსი	4 4 0 0 6:1 12
ბოლტონი	4 3 0 1 7:4 9
ტოტენჰემი	4 2 2 0 4:2 8
მიდლსბრო	4 2 1 1 9:8 7
ასტონ ვილა	4 2 1 1 7:6 7
ვესტჰემი	4 2 1 1 6:6 7
ჩარლტონი	4 2 0 2 6:9 6
მანჩესტერი	4 1 2 1 3:3 5
სიტი	4 1 1 2 6:4 4
პორტსმუთი	3 1 1 1 6:6 4
ლივერპული	3 1 1 1 3:3 4
ფულემი	4 1 1 2 6:7 4
ბირმინგემი	4 1 1 2 2:3 4
ვესტ ბრომფორდი	4 0 3 1 4:5 3
საუთჰემპტონი	4 1 0 3 5:8 3
ნოუკასლი	4 0 2 2 6:9 2
ნორვიჩი	4 0 2 2 5:9 2
ბლექბერნი	4 0 2 2 4:8 2
პრ. პალასი	4 0 1 3 3:8 1

„ორკვირინი“ შესვენების შემდეგ, პრემიერლიგა დღეს, „ასტონ ვილა“ — „ჩელსის“ მატჩით განახლდება. ჟოზე მურინიუს „არისტოკრატები“ ჯერჯერობით დაუმარცხებელი არიან და მათი დაცვა საუკეთესოა, რაკი ოთხ ტურში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს. აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში „ჩელსის“ ბირმინგემში არ მოუგია. მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში სავარაუდოდ იქნება ხუან პაბლო ანხელი, ხოლო სტუმრებს დემიან დავი ეყოლებათ, რომელმაც გასულ ოთხშაბათს, შვეიცარიასთან სანაკრებო მატჩში საგოლე პასი მიითვალა.

სემ.ალარდაისის კერკეტი „ბოლტონი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუხვდება და შეეცდება, სერ ალექს ფერგიუსონიც რაფაელ ბენიტესივით გაწბილებული გაუშვას შინ. გესხომებათ, ორი კვირის წინ „ბოლტონმა“ „ლივერპული“ 1:0 წამოაქცია. „იუნაიტედს“ კვლავ ვერ დაეხმარება ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროი, ფრანგი ლუის საა ფარერებთან შეხვედრაში დაშავდა და მისი თამაშიც საეჭვოა. სხვა რა ჩარაა, ფერგიუსონი კვლავაც აღან სმიტის იმედზეა. ნეკინის ტკივილის მიუხედავად ძირითად შემადგენლობაში ალბათ, როი კინცი იქნება.

პრემიერლიგის ლიდერი და ქვეყნის ჩემპიონი ლონდონის „არსენალი“ თანაქალაქელ „ფულემს“ ეწვევა და ვენგერის კარგად დაქოქილ გუნდს მეტოქის ძლევა სავსებით ხელეწიფება. მით უმეტეს, ბოლო ექვსი დაპირისპირებიდან „არსენალმა“ „ფულემს“ ხუთი მოუგო. „მეთოფები“ ამ შეხვედრაში თუ არ დამარცხდნენ, ზედიზედ 44 წაუგებელი მატჩი გამოუვათ. ვენგერს ტრავმამოშუებული პატრიკ ვიერა დაუბრუნდა, რომელმაც ფარერებთან წესისამებრ იუხემა და გააძევეს. სოლ კემპბელი კვლავაც მკურნალობს და სტუმართა დაცვას ვერ შეეშელება.

სამ ტურში სამი ქულა, სამი გატანილი და ამდენივე გაშვებული გოლი — ჯერჯერობით ასეთია რაფაელ ბენიტესის პრემიერლიგური მონაგარი, არადა მერსისაიდულ

გრემ სუნესი კირველი კაჭკაჭური



გრემ სუნესი დღეიდან „ნიუკასლს“ შეუძახებს

კლუბს სეზონის დასაწყისში ესპანელითა მეტად ეიმედებოდა. „ლივერპული“ მასპინძლობს გუნდს, რომელსაც ჯერ თამაში არ მოუგია. დამხვდურებს „ვესტ ბრომფორდის“ ძლევა შეუძლიათ და ალბათ, სამ ქულასაც მიითვლიან კიდევ. ისტორია გვკარნახობს, რომ ბრომფორდის „ლივერპული“ „ენფილდზე“ ბოლოს 1967 წელს დაუმარცხებიათ.

უღიმამო დასაწყისის შემდეგ „მანჩესტერ სიტი“ მეოთხე ტურში „ჩარლტონს“ იოლად (4:0) გაუსწორდა, ახლა კი შინ ზედიზედ მეორე მატჩს გამართავს. სიტელთა მეტოქე „ვესტჰემი“ იქნება. ევერტონელებმა ორი კვირის წინ „ოლდ ტრაფორდიდან“ წაიღეს ქულა, მანამდე კი მიჯრით ორი შეხვედრა ჰქონდათ მოგებული პრემიერლიგის დებიუტანტ „კრისტალ პალასთან“ და „ვესტ ბრომფორდთან“.

სტივ მაკლარენის „მიდლსბროს“ სეხნია ბრიუსის „ბირმინგემი“ ეწვევა. ბრიუსმა „ნიუკასლის“ მწვრთნელობა იუარა და კვლავ აგრძელებს ბირმინგემულ გუნდში მუშაობას. სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს სტუმრებმა „ბლექბერნის“ ფორვარდი დუაიტ იორკი დაიმატეს, რომლის დებიუტიც მიდლსბროში შედგება. მასპინძლებს ჯანზე ჰყავთ ორივე მეგობარი: მარკ ვიდუკა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბანკი. აღსანიშნავია, რომ „ბოროს“ ერთ მატჩში ორ გოლზე ნაკლები არ გაუტანია.

„ნიუკასლს“ ახალი თავკაცი ჰყავს — გრემ სუნესი, რომელიც „ბლექბერნიდან“ გადავიდა ჯორდულ კლუბში და დღეს სწორედ თავისი ყოფილი გუნდის დამარცხება სჭირდება, რათა „კაჭკაჭი“ გულშემატკივრების პატივისცემა დაიმსახურო. ორივე გუნდი ოთხი ტურის შემდეგ მაჩანჯალაშია გარეული, რაკი ჯერ არცერთს მოუგია. ამიტომ „სენტ ჯეიმსის პარკზე“ დიდი ბრძოლა უნდა შედგეს.

და ბოლოს, ქვემოდან ცხრილის დამამშვენებელი „კრისტალ პალასი“ „პორტსმუთს“ ესტუმრება და შეეცდება, ქულა მაინც წაიღოს, ხოლო ჟაკ სანტიანის შექმნილი ახალი „ტოტენჰემი“ „ნორვიჩს“ მიიღებს.

ესპანეთი

იუბილარი კანისურესი ოუენი რაულმა დასვა

II ტური	
დღეს	
ბილგაო :	გალენსია
ბარსელონა :	სევილია
რეალი :	სევილია
საღამოს	
ალბასეტე :	ატლეტიკო
გეტისი :	სევილია
ლევიანტი :	სევილია
ესპანიოლი :	სევილია
ვილიარეალი :	სევილია
ალბასეტე :	სევილია
მალიორკა :	სევილია
ხეტაფე :	სევილია
რასინგი :	სევილია
მალაგა :	სევილია

საღამოს ვითარება						
სარაგოსა	1	1	0	0	3:1	3
ატლეტიკო	1	1	0	0	2:0	3
ბარსელონა	1	1	0	0	2:0	3
ვალენსია	1	1	0	0	2:1	3
რეალი	1	1	0	0	1:0	3
სევილია	1	1	0	0	1:0	3
დეპორტივო	1	0	1	0	1:1	1
ნუმანსია	1	0	1	0	1:1	1
სოსიედადი	1	0	1	0	1:1	1
ოსასუნა	1	0	1	0	1:1	1
ბეტისი	1	0	1	0	1:1	1
ბილბაო	1	0	1	0	1:1	1
ლევიანტი	1	0	1	0	1:1	1
ესპანიოლი	1	0	1	0	1:1	1
ვილიარეალი	1	0	0	1	1:2	0
ალბასეტე	1	0	0	1	0:1	0
მალიორკა	1	0	0	1	0:1	0
ხეტაფე	1	0	0	1	1:3	0
რასინგი	1	0	0	1	0:2	0
მალაგა	1	0	0	1	0:2	0

პრიმერადივიზიონის მეორე ტურში ხოსე ანტონიო კამაროს „რეალი“ ლა ლიგის ახალწვეულს, პაკო ალვაროს „ნუმანსიას“ უმასპინძლებს. მადრიდელები რომ მხოლოდ მოსაგებად გავლენ „ბერნაბეუზე“ ფაქტია, თანაც კამაროს ყველა ის ფეხბურთელი დაუბრუნდა, წინა დღეებში თავ-თავიანთ ნაკრებებში რომ იყვნენ გამოძახებულნი.

„რეალის“ ძირითად შემადგენლობაში ალბათ ყოფილ ლიგურულელს, მაიკლ ოუენს ვერ

ვიზილავთ, რადგან რაულ-ოუენის ყაბაღებულ კონკურენციას კამარო კვლავც ესპანელის სასარგებლოდ წყვეტს. მართალია, ამასწინათ „ბერნაბეუს თასზე“ მექსიკულ „უნამ-პუმასთან“ კაპიტნის ტრავმის გამო ოუენმა ითამაშა, მაგრამ დღეს რაული სრულ მზადყოფნაშია.

მცირე ტრავმა აწუხებს ოუენის თანამემამულე დევიდ ბექემს, მან ნატკენი თემო ბოლომდე ვერ მოიშუშა, მაგრამ თუ დასჭირდა, კამარო აუცილებლად დასაქმებს.

„სამეფო კლუბმა“ პირველ ტურში „მალიორკას“ რონალდოს გოლით მოუგო და თუ „ნუმანსიაც“ მიაყოლეს, დროებით მანც გალიდერდებიან: „მეტოქეს სუსტი არ ეთქმის, თუმც, ჩვენი მიზანი ოდენ გამარჯვებაა“ — განუცხადა ხოსე ანტონიო კამარომ იქაური „მარკას“ ჟურნალისტს. რაც შეეხება მის კოლეგა პაკო ალვაროს, ის ამბობს: „რა თქმა უნდა, „რეალი“ ბრწყინვალე გუნდია, თუმც გარკვეულ შეცდომებს ისინიც უშვებენ და ვეცდებით, ეს ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ“ — მიუხედავად მეტოქის სიძლიერისა, „ნუმანსიას“ თავკაცის ეს სიტყვები დაგვეთანხმებით, მისასაღებელია.

ალვარო ფეხბურთელობის ფაშს „სევილიასა“ და „ესპანიოლში“ ბურთობდა და შესანიშნავად ესმის, თუ რაოდენ ძნელია „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდული ინჩადის თვალწინ მეტოქის როლში ყოფნა. თუმც, მწვრთნელის აზრით, მაყურებლის ფაქტორი მის მოთამაშებზე გადამწყვეტ ზეგავლენას ვერ იქონიებს. „იმედი მაქვს, ჩემი ბიჭები ქომაგებს ყურადღებას არ მიაქცევენ, წინ რთული და საპასუხისმგებლო მატჩი გველის და „ნუმანსიაც“ გალაქტიკურ არენას კი არ უნდა შეუშინდეს, მოედანზე საქმეები უნდა აკეთოს“ — დასძინა ბოლოს ალვარომ მედიასთან საუბარში.

მწვრთნელი კია იმედიანად, მაგრამ „ნუმანსია“ დანაკლისით ეშვია მადრიდს, ნახევარმცველი მიგელი და კორეელი ჩუნ სული ტრავმირებულნი არიან.

კლავდიო რანიერის „ვალენსია“ ძალებს ბასკურ „სან მამესზე“, იქაურ „ბილბაოსთან“ მო-

სინჯავს. ვალენსიელთა მთავარი სახლე ძირითად შემადგენლობაში იტალიელი მცველის, ემილიანო მორეტის გამოჩენა იქნება, რომელიც ათენის ოლიმპიადიდან დაუბრუნდა გუნდს. სამაგიეროდ, რანიერომ ბილბაოში რამდენიმე შეგირდი ვერ იახლა — რუბენ ბარასა, რობერტო აილა და ფრანსისკო როფეტე ტრავმირებულნი არიან, ხოლო არგენტინელი მცველის, მაურიციო პელეგრინოს წაყვანა თავად იტალიელმა სპეციალისტმა არ ისურვა. „სან მამესზე“ კი მეკარე სანტიაგო კანისარესი „ვალენსიას“ შემადგენლობაში მეორასე მატჩს ჩაატარებს.

კატალონიური „ბარსელონა“ საკუთარ „კამპ ნოუზე“ „სევილიას“ შეებმება. მასპინძელთა მთავარმა იმედმა, ბრაზილიელმა რონალდინიომ დაშვებული ფეხი უკვე მოიჩინა და „ბარსას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდიც ანდალუზიელ მომხდურებს სამუელ ეტოსს, ჰენრიკ ლარსონისა და ზემოსხენებული გაუროს მეშვეობით ეცდება მეტოქის შემუსვრას.

თავის მხრივ, „სევილიას“ მწვრთნელ ხოაკინ კაპაროსს ამ მატჩში ხეირის სანახავად ყველანი მწყობრში ჰყავს ბრაზილიელი ჟულიო ბატისტას მეთაურობით. ზაფხულში ბატისტას შემენას სწორედ კატალონიელები ცდილობდნენ, ახლა კი, ალბათ განაწყენებულ ფეხბურთელს რაიკარდის გუნდის დაწიოკების სურვილი აქვს. „შესანიშნავი იქნება, „ბარსელონას“ გოლი „კამპ ნოუზე“ რომ გავუტანო, დარწმუნებული ვარ, შევძლებ კიდევ“ — განუცხადა ჟულიო ბატისტამ ჟურნალისტებს.

ახლა ხვალინდელ მატჩებზეც ვთქვათ: გამოსარჩევი „დეპორტივო“ — „ოსასუნა“, „ალბასეტე“ — „ატლეტიკო“ და „ბეტისი“ — „ესპანიოლი“ გვეგონია.

ხავეირ ირურეტა მშობლიურ „რიასორზე“ წლეულს პირველი გამარჯვების მიღწევას ეცდება — იცით, ლაკორუნიელები წინა ტურში „ესპანიოლთან“ ფრეს დასჯერდნენ. მასპინძელთა შემადგენლობა საბრძოლოა, ხოლო მექსიკელი ხავეირ ავიერეს „ოსასუნაში“ დისკვალიფიცირებულ ხოსენოს საბიერ კელარი შეცვლის.

„ალბასეტეს“ ყოფილი თავკაცი სეზარ ფერანდო ახლა მადრიდის „ატლეტიკოს“ უდგას სათავეში. ფერანდოც თავის ბიჭებთან ერთად მოსაგებად ეწევა გუნდყოფილს.

სევილიურ „ბეტისის“ კატალონიურ „ესპანიოლთან“ ტრავმებისა თუ ავადმყოფობის გამო მარკოს ასუნსაო, დანი გარსია და ბენზამინი არ ეყოლება. მიგელ ანხელ ლოტინა კი დისკვალიფიცირებულ ივან დე ლა პენიას მოისაკლისებს. შესაძლოა, ვერ ითამაშოს არგენტინელმა უგო იბარამაც.



ჟოზე მურინიუს სანიუათო თაგაჟი

ჟოზე მურინიუს თავის ახალ წიგნში „გამარჯვებათა ბორბალი“ ჰყვება, რომ ჩემპიონთა თასის ფინალის წინ, რომელშიც „პორტუგო“ „მონაკოს“ მოუგო, მას სიკვდილით ემუქრებოდნენ. „მათ რამდენჯერმე დამირეკეს და მითხრეს — ამბობს მურინიუს — ჯერ ხელს არ გახლებთ, ფინალი გაქვს სათამაშო, მაგრამ როგორც კი პორტუგო დაბრუნდები, გვამი ხარ. საშენო საფლავი უკვე გათხრილია“.

ვინ დარეკა და რატომ ემუქრებოდა სიკვდილით მწვრთნელს, უცნობია. თავად მურინიუს ეჭვობს, რომ ამბავი „პორტუგო“ „ჩელსიში“ წასვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული. „პორტუგო“ ფანატთა ჯგუფი, სახელად „სუპერდრაკონები“ ამ მოტივით მუქარას უარყოფენ, თუმც ვარაუდობენ, რომ დამრეკავი ერთ-ერთი იმთავანია, მაგანი ფანისთვის ჟოზე მურინიუს რომ ცდილობდა ქალის ასწაპვნას.

გაზა ხუციშვილი

მწვრთნელი თუ ჯალათი?

გერმანული დისციპლინის „ზიბლი“ შოტლანდიელებმაც იგემეს მას შემდეგ, რაც სქოთთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად ბერტი ფოგოსი დანიშნეს.

თურმე ახლა გაცხადდა, თავისი ძირითადი მოვალეობის გარდა, ფეხბურთელებისთვის საჭმელ-სასმელსაც ფოგოსი უკეთავს და კაი დედ-მამის შვილია, რომელიმე შეკრებისას რეჟიმი დაარღვიოს. ლუდზე და შოტლანდიელებისთვის სხვა საყვარელ სასმელებზე საუბარც კი ზედმეტია.

იმ სასტუმროებში, სადაც ნაკრები ცხოვრობს, ფოგოსი თავად დადის ნომრებში და ამოწმებს, რომ მინი-ბარები ცარიელი იყოს. არავითარი „პეპსი კოლა“, „კოკა კოლა“ ან სხვა რამ, რასაც სახელში „კოლა“ ურევია. მხოლოდ ოთახის ტემპერატურაზე დაყენებული ნატურალური წველები. მაცივარი? როგორ გეკარდებათ. გაციებული წვენიც აკრძალულია და ჭიქაში ყინულის ჩადგობაც. შემწვარ კარტოფილზე უკაცრავად, კარაქზე ბოდიში, მხოლოდ მცენარეული ზეთი! პური კი განსაკუთრებული, დიეტური. კითხვაზე, აქვთ თუ არა საერთოდ რაიმე უფლებები შოტლანდიელ ფეხბურთელებს, ბერტი ფოგოსმა უპასუხა: „მათ აქვთ უფლება, არ ითამაშონ ნაკრებში“!

გაზა ხუციშვილი



„მალიორკასთან“ „რეალის“ ორივე ინგლისელმა ითამაშა, დღეს არც მაიკლ ოუენი იქნება და არც დევიდ ბექემი



იზაღია. სერია A 2004-2005

ერტი, ორი, სამი... სერიაში ფულიანები ბატონობენ

გასულ სეზონში ისე მოხდა, რომ ჩემპიონს „მილანს“ კონკურენცია ფაქტობრივად მხოლოდ „რომა“ გაუჩინა და ისიც, ყველა გრძობდა, რომ ფაბიო კაპელოს ყოჩაღი გუნდი „შავ-წითლებს“ მაინც ბევრით ჩამოუვარდებოდა. ნლეულს, ყოველ შემთხვევაში ახლა, სეზონის დაწყების წინ ისე ჩანს, რომ ქვეყნის პრემიერის, სილვიო ბერლუსკონის გუნდს ორი კონკურენტი მაინც ეყოლება — „იუვენტუსი“ და „ინტერი“, თუმცა მოდით, ნურც იმავე „რომას“ ჩამოვწერთ. ერთი კია, ის ეპოქა, როდესაც სერია A-ს ჩემპიონობისთვის ხუთი-ექვსი თანაბარი ძალის გუნდი იბრძოდა, სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც ჩაბარდა ისტორიას.

და კიდევ ერთი ყურადსაღები ამბავი: სერია A-ში გუნდების რაოდენობა ოცამდე გაიზარდა. რაც... ვინ იცის, ვის ზე როგორ იმოქმედებს, თუმცა ამბობენ, რომ იმ გუნდებზე, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაშიც მიიღებენ მონაწილეობას, ეს ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს.

ერთი სიტყვით, დღეს მორიგი სერია იწყება და იტალიური ფეხბურთის გურმანი ალბათ, უკვე ხელებსაც იფშენებს...

მილანი

ჩემპიონი ისევ ფავორიტად ითვლება. ითვლება კი არა, არის კიდეც. გასულ სატრანსფერო მონაკვეთში „შავ-წითლები“ წინა სეზონთან შედარებით კიდევ უფრო გაძლიერდნენ და ახლა თითოეულ პოზიციაზე რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ. განსაკუთრებით დაცვა გამოირჩევა — თუმცა, ვიმეორებთ, ნებისმიერ რგოლში ერთმანეთზე უკეთესი ფეხბურთელის დაგროვება — სადაც ერთმანეთს კონკურენციას კაფუ, იამ სტამი, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი და კასა კალაძე გაუწევენ.

თავდასხმაში ნომერი პირველი უკრაინელი ანდრეი შევჩენკოა. იგი, ჩვეულებრივ, სეზონში 20 გოლიან ფორვარდად არის მიჩნეული, ხოლო მასთან წყვილში იონ ლალ ტომასონი, ერნან კრესპო ან ფილიპო ინსაგი იქნებიან და ნუ დავივიწყებთ ოდნავ უკნიდან მოთამაშე ბრაზილიელ ვარსკვლავებზეც — კაკასაც.

და მაინც, მიმოხილვების ნაწილი მიიჩნევენ, რომ კარლო ანჩელოტის გუნდს ეს სეზონი უფრო რთული ექნება. თავად კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ მეტოქეებზე მეტად საკუთრივ „მილანის“ ემიონია, რადგან მათ მდგომარეობაში მყოფ გუნდს იოლად შეიძლება ვარსკვლავური სენი შეყაროს, სულისკვეთება აერიოს და რასაც მისგან ელიან, ვერ შეძლოს.

რომა



ფრანჩესკო ტოტი

„რომა“ გასულ სეზონთან შედარებით წესით დასუსტებული უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა გუნდმა დაკარგა მწვრთნელი, ფაბიო კაპელო, რომელიც „იუვენტუსში“ გადავიდა. კაპელოს შემცვლელად, თადარიგებში რომაელებმა, იმთავითვე მიიყვანეს „პარმას“ ყოფილი თავკაცი ჩეზარე პრანდელი, მაგრამ პრანდელის ოჯახური მიზეზებით მოუხდა თანამდებობიდან წასვლა და ისევ ვაკანსია წარმოიშვა, რაც საბოლოოდ, გერმანიიდან, კლუბის ოდინდელი ვარსკვლავის და გერმანიის ნაკრების ამასწინანდელი მწვრთნელის, რუდი ფილიპერის დანიშვნით დასრულდა.

გუნდი დასტოვა ძალიან სასარგებლო ნახევარმცველმა, ბრაზილიელმა ემერსონმა და ცენტრალურმა მცველმა ვალტერ სამუელმა, თუმცა იტალიის დედაქალაქში თავს იმით იმშვიდებენ, რომ კაპიტანი და თილისმა, ფრანჩესკო ტოტი და თავდასხმელი ანტონიო კასანო არსად წასულან.


იუვენტუსი

გასული სატრანსფერო სეზონის პირველი სენსაცია „რომასგან“ მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს გადაბირება გახლდათ. კაპელო ის მწვრთნელია, რომელიც სადაც მივიდა, ყველგან ჩემპიონობა მოიპოვა — „მილანი“, „რეალი“, „რომა“ — და ახლა „იუვენტუსის“ შენებას შეუდგა.

ხოლო სატრანსფერო სეზონის ბოლო ტურინული სენსაცია, მის ბოლოს საათებში „აიასიდან“ შევდი თავდასხმელის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის და „ინტერიდან“ ფაბიო კანავაროს გადაბირება გამოდგა. გუნდს აგრეთვე წამომეტყნენ რომიდან კაპელოს წამოყოლილი ჯონათან ძებინა და ემერსონი, ხოლო მარკო დი ვაიო და ფაბრიციო მიკოლი ტურინელებმა გაყიდეს.

ინტერი

„შავ-ლურჯებს“ სკუდეტო უკვე მეთხუთმეტე წელიწადია არ მოუგიათ. ამ სატრანსფერო სეზონში კი ძალიან დიდი წინასწარი სამუშაო ჩაატარეს. უპირველეს ყოვლისა, „ლაციოსგან“ წამოიყვანეს მწვრთნელი რობერტო მანჩინი, რომელიც შეტევაზე ორიენტირებული ადამიანია. „ინტერსავე“ ჰყავს სერია A-ში მოთამაშე საუკეთესო



ანდრეი შევჩენკო



ზლატან იბრაჰიმოვიჩი



ადრიანო

ახალგაზრდა უცხოელები: დეიან სტანკოვიჩი და ადრიანო, ხოლო გამოცდილი ზუან სებასტიან ვერონისა და ედგარ დავიდის შემატება რომ მხოლოდ წაადგება, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

პარმა

პარმელები ჯიბეგაფხვკილი კი არიან, მაგრამ ისიც გამოჩნდა, რომ იტალიური ფეხბურთის ახალ ვარსკვლავად შერაცხული ალბერტო ჯილარდინო შეინარჩუნეს. არადა, მსურველები ამ ნიჭიერ ფორვარდს, იცოცხლეთ ბევრი ჰყავდა.

ახლაც, ისევე როგორც გასულ სეზონში, „პარმა“ ახალგაზრდა ფეხბურთელების წყალობით და აღზრდით შეეცდება ფონს გაუვას, ოღონდ უკვე ახალი მწვრთნელის, სილვიო ბალდინის ხელმძღვანელობით.

ლაციო

რომაელები ხელმოკლედ იყვნენ და მწვრთნელი, რობერტო მანჩინიც „ინტერში“ გაექცათ, მაგრამ ახალგაზრდული გუნდის ყოფილი თავკაცი დომენიკო კაზო თავისას მაინც ცდის და გუნდის ელიტაში შენარჩუნებას ეცდება. მთავარი ის იყო, რომ კლუბი ახალმა პატრონმა, კინომანგატმა აურელიო დე ლაურენტისმა იყიდა.

უდინეზა

